საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/9175
24/08/2020

9175-2-12-2-202008241134

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

2020 წლის 20 მაისის 2-12/5086 წერილზე, რომელიც **ეხება ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის კმ20.6–კმ29.5-ის (ლოტი IV)** მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტს, დამატებით გიგზავნით დაზუსტებულ ინფორმაციას (დანართი 1; 2 და 3.) და ასევე გაცნობებთ, რომ:

- ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში დაშვებულ იქნა ტექნიკური უზუსტობა და აღნიშნული მონაკვეთის სიგრძე ნაცვლად 10.8 კმ-სა შეადგენს **8,5 კმ-ს;**
- ალტერნატივების განხილვის ეტაპზე „ა“ ვარიანტში (უპირატესი) ნახსენებია *„იმისათვის რომ მოვახდინოთ გზაზე წყლის მოცილება აუცილებელია სხვადასხვა ზომისა და კვეთის მილების თუ ხიდების მოწყობა. გზა გადის დაუსახლებელ ტყიან ადგილებში“* დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა და აღნიშნული პროექტის (ლოტი IV) ფარგლებში სახიდე გადასასვლელების მშენებლობა გათვალისწინებული არ არის;
- აღსანიშნავია, რომ სანაყაროების განთავსება განხორციელდება საქართველოს მთავრობის 424 დადგენილების შესაბამისად და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა მოხდება არაუმეტეს 2,0 – 2,5 მ-ის სიმაღლის ნაყარში, ე.წ. კავალიერებში, რომელთა ფერდების დახრილობის კუთხე არ უნდა აღემატებოდეს 45^0-ს, რათა დასაწყობების ტერიტორია დაცული იყოს წარეცხვისაგან და საჭიროების შემთხვევაში მოეწყობა წყალამრიდი არხები, რომელებიც არ იქონიებენ ზეგავლენას ლანდშაფტის ვიზუალურ მხარეზე;
- საპროექტო ტერიტორიის რელიეფური პირობების და ტყით დაუფარავი ტერიტორიების სიმცირიდან გამომდინარე არჩეულ იქნა 9226 $მ^2$, რომელიც მდებარეობს მდინარიდან არანაკლებ 500 მეტრში, ზედაპირის დახრილობა არ აღემატება 20^0-ს, საქმიანი ეზო გამოყენებული იქნება მე-4 ლოტის მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის.

დანართი: 1 - გეოლოგიური ანგარიში;
2 - საქმიანი ეზო (SHP);
3 - სანაყარო (SHP).

პატივისცემით,

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე